დამტკიცებულია
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს
დირექტორატის
2021 წლის 04 მაისის №78
გადაწყვეტილებით

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს

სავალუტო გარიგებების მომსახურების წესები და პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დეტალურად აღწეროს კლიენტსა და სს „ხალიკ ბანკ საქართველო“-ს (შემდგომში ბანკი) შორის სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული ურთიერთობის ძირითადი ასპექტები.

ბანკი ხელმძღვანელობს სავალუტო ბაზარზე საქმიანობის ზოგადი წესით, მოქმედი კანონმდებლობითა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის ბრძანებების №142/04 „სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ და №141/04 „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად და FX გლობალური კოდექსით (FX კოდი) https://www.globalfxc.org/docs/fx_global.pdf, FX კოდექსი არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუმენტი, მაგრამ წარმოადგენს მისაღები ქცევის სტანდარტების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭირვალე ბაზრის განვითარებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის, ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სავალუტო ბაზარი – სისტემებისა და წესების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით სავალუტო ბაზრის მონაწილეები რეგულარულად დებენ სავალუტო გარიგებებს;

ბ) სავალუტო ბაზარზე მონაწილეობა – სავალუტო ბაზარზე მონაწილეობად მიიჩნევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკების, საბროკერო კომპანიების და რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ერთმანეთთან ან კლიენტებთან სავალუტო გარიგების რეგულარული განხორციელება;

გ) სავალუტო ბაზრის მონაწილე – სავალუტო ბაზრის მონაწილედ მიიჩნევა სუბიექტები, რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ სავალუტო გარიგებებს;

დ) სავალუტო გარიგება – სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ, კლიენტთან ან/და სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილესთან ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებით დადებული ნებისმიერი გარიგება;

ე) წინსწრებით ვაჭრობა – წინსწრებით ვაჭრობა არის ისეთი ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, სადაც სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელსაც აქვს წინასწარი ინფორმაცია მისი კლიენტის დავალების შესახებ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ (მესამე პირის მეშვეობით), წინასწარ, კლიენტის დავალების აღსრულებამდე დებს გარიგებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით;

ვ) წინარე ჰეჯირება – სავალუტო პოზიციის გახსნა ან სხვაგვარი ისეთი ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უკავშირდება კლიენტის მოსალოდნელ დავალებას და რომელიც მიზნად არ ისახავს კლიენტისთვის მდგომარეობის გაუარესებას და არ იწვევს სავალუტო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას;

ზ) ანგარიშსწორების ინსტრუქციები – სავალუტო ბაზრის მონაწილესა და მის კლიენტს შორის წინასწარ შეთანხმებული წესებისა და პირობების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ ანგარიშსწორების დროს;

თ) პრინციპალი მოვაჭრე – სავალუტო ბაზრის მონაწილე, რომელიც კლიენტთან სავალუტო გარიგებას დებს საკუთარი სახელით და საკუთარი რისკით;

ი) კლიენტის დავალება – სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ, სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებით კლიენტისგან მიღებული დავალება;

კ) კონტრაგენტი – სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ დადებული სავალუტო გარიგების მეორე მხარე.

ლ) გარიგების დადების დღე – დღე, როდესაც ხდება გარიგების პირობების შეთანხმება მხარეებს შორის;

მ) ანგარიშსწორების თარიღი - გარიგების მიხედვით კონტრაჰენტისა და ბანკის ანგარიშებზე ფულადი სახსრების მიწოდების თარიღი, რომელიც განსაზღვრულია მხარეთა მიერ;

ნ) სავაჭრო სისტემა – ბლუმბერგის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგებების დადება;

ო) სავალუტო ფორვარდი - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით მხარეთა შეთანხმება ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე მომავალში, წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე/თარიღამდე. ფორვარდული გარიგების შესრულება კონკრეტული თარიღისთვის სავალდებულოა;

პ) სავალუტო სვოპი - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით მხარეთა შეთანხმება ვალუტის ერთდროულად ყიდვა და გაყიდვის შესრულებაზე, წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, სხვადასხვა ანგარიშსწორების თარიღებზე. სავალუტო სვოპის გარიგების შესრულება კონკრეტული თარიღისთვის სავალდებულოა;

მუხლი 2. კლიენტთან კომუნიკაცია და საერთო პირობები

ბაზრის მონაწილე მომხმარებელთან მიმართებაში შეიძლება მოქმედებდეს, როგორც პრინციპალი მოვაჭრის ან აგენტი მოვაჭრის სტატუსით. ბანკი მოქმედებს პრინციპალი მოვაჭრის სტატუსით, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტთან სავალუტო გარიგებას დებს საკუთარი სახელით და საკუთარი რისკით.

გარიგების დადების დროს, ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს როგორც კლიენტის ფიდუციარი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით. ნებისმიერი დადებული გარიგება, ხორციელდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და მესამე მხარეთა პროფესიონალური რჩევების საფუძველზე.

ბანკსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია ხორციელდება როგორც ელექტრონულად (დაცული დისტანციური არხები, ბანკში დაფიქსირებული ელ. ფოსტა), ასევე ტელეფონით ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა საშუალებით.

კლიენტი უფლებამოსილია გარიგება დადოს როგორც კონტრაგენტმა, მოითხოვოს ფასები და შეათანხმოს სასურველი პირობები.

ბანკი კლიენტთან კომუნიკაციას აწარმოებს ზუსტად, ნათლად, და გარკვევით და მოიხმარს ყველა ღონეს, რათა განზრახ შეცდომაში არ შეიყვანოს კლიენტი. ამ მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტს მიაწოდოს გონივრული ინფორმაცია სავალუტო ბაზრის შესახებ, ბაზრის ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით, ასევე ინფორმაცია წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების თაობაზე. კლიენტისათვის ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სავალუტო ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და არ შეიძლება განიხილოს როგორც ფინანსური რჩევა. სავალუტო გარიგების განხორციელებასთან / დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კლიენტი და შესაბამისად შედეგებზეც თვითონ არის პასუხისმგებელი. ყოველი დადებული გარიგება მოიაზრებს რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და ასევე არ არის პასუხისმგებელი იმ ზარალზე, რომელიც შეიძლება კლიენტს მიადგეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად. აღნიშნული ქმედების განხორციელებისას ბანკი იმოქმედებს კონფიდენციალურობის სრული დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან/და კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას.
ბანკი არ ზღუდავს კლიენტს სავალუტო გარიგების დადების და/ან მომსახურების მიღების მიზნით მიმართოს ბაზრის სხვა მონაწილეს არც გარიგების დადების მომენტში და არც მის შემდეგ.
მხარეები აცნობიერებენ, რომ სავალუტო ბაზარზე განხორციელებული გარიგებები დაკავშირებულია გარკვეულ ვარაუდებთან და მაღალ რისკებთან, ვალუტის კურსის

მერყეობასთან, რის გამოც ბაზრის მონაწილისთვის მიცემული დავალების განხორციელებისას, შესაძლებელია გარიგება შესრულდეს სრულად ან ნაწილობრივ, (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შესრულდეს კლიენტისთვის ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით, რადგან დროის ამ შუალედში შეიცვალა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

ბანკი აცხადებს, რომ წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში კლიენტთან მომსახურების გაწევისას, მას გააჩნია ინფორმაციის დაცვის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც იცავს კლიენტის კონფიდენციალურ ინფორმაციას ნებისმიერი უნებართვო წვდომისაგან როგორც მესამე პირების, ასევე ნებისმიერი სხვა არაუფლებამოსილი პირისაგან.
იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ ბანკთან კომუნიკაცია, მათ შორის დავალების/განცხადების წარდგენის, ცვლილების ან გაუქმების მოთხოვნა ხდება სატელეფონო საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, ბანკი უფლებამოსილია და კლიენტი უპირობო თანხმობას აცხადებს რომ ბანკმა კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნით განახორციელოს სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაციის ჩაწერა და შენახვა. ჩანაწერები შეინახება ტრანზაქციის დასრულებიდან სულ მცირე, 6 წლის განმავლობაში.
აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები, გარიგებისა და მისი შესრულების შესახებ მონაცემები, ბანკისა და კლიენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, რომლითაც სარგებლობა შეზღუდულია, მიიჩნევა კონფიდენციალურ ინფორმაციად და მისი გამჟღავნება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
ბანკი უზრუნველყოფს შესაბამის თანამშრომელთა ფუნქციების სეგრეგირებასა და წვდომის შეზღუდვას კლიენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, მათ შორის, კლიენტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაციაზე.
კლიენტი ვალდებულია ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის ცვლილების შესახებ წინასწარ შეატყობინოს ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად კლიენტის მხრიდან.

მუხლი 3. კლიენტთან ვაჭრობის პირობები - ბაზრის მონაწილე, როგორც „პრინციპალი მოვაჭრე“

კლიენტი უფლებამოსილია, სავაჭრო მოთხოვნა განათავსოს ბაზრის მონაწილესთან წინასწარ შეთანხმებული წესის მიხედვით ბაზრის მონაწილე არ არის ვალდებული, მიიღოს კლინტის მოთხოვნა და იმოქმედოს მის საფუძველზე ან დადოს გარიგება, გარდა კანონმდებლობითა და კლიენტთან არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

ვალუტით ვაჭრობა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად, მათ შორის Bloomberg-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. ბანკი ვალდებულია, დაიცვას კლიენტთან შეთანხმებული პირობები, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის ზოგად წესებს, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ პირობებსა და ელექტრონული პლატფორმის ფუნქციონირებას.

კლიენტს შეუძლია მოითხოვოს სპოტ, ფორვარდული ან სვოპ გარიგების კურსი და შეათანხმოს სასურველი პირობები, ასეთ შემთხვევაში ბანკი მოქმედებს როგორც პრინციპალი მოვაჭრე.

კურსისა და სხვა პირობების შესათანხმებლად კლიენტმა უნდა დააკონკრეტოს გარიგების სავალუტო წყვილი, შესაძენი/გასაყიდი ვალუტის მოცულობა, და ვალუტირების თარიღები. სავალუტო ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე კურსი, რომელსაც ბანკი, როგორც პრინციპალი მოვაჭრე შესთავაზებს კლიენტს, შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. აქედან გამომდინარე, შეთანხმებული კურსი მოქმედი იქნება მხოლოდ დაუყოვნებლივი აღსრულებისთვის და ბანკი ვერ იქნება პასუხისმგებელი, რომ აღნიშნული კურსი კლიენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს მომავალშიც. ბანკის მიერ შეთავაზებული კურსის მისაღებობის შემთხვევაში კლიენტმა თანხმობა უნდა გამოხატოს დაუყოვნებლივ, რაც ჩაითვლება კონვერტაციის პირობებზე შეთანხმებად. გარიგების აღსრულება კლიენტმა უნდა უზრუნველყოს მიმდინარე დღის 17:00 საათამდე.

როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ფასდადებისას, ბანკი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: კონკრეტული ტიპის ტრანზაქციაზე ბაზარზე არსებული ლიკვიდობა, გარიგების მოცულობა, საკრედიტო და სავალუტო რისკი, ვაჭრობის საოპერაციო ხარჯები და სხვ. ფორვარდული და სვოპ გარიგების კურსის ფასწარმოქმნა ეფუძნება კონტრაქტის ვადიანობას და კონკრეტული სავალუტო წყვილის მიმდინარე გაცვლით კურსს, რომელიც კორექტირებულია შესაბამისი ვალუტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის და კლიენტის საკრედიტო რისკის მიხედვით.

მუხლი 4. ელექტრონული ვაჭრობა და ბაზრის მონაწილის მარჟა

კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილისათვის ელექტრონული ვაჭრობისთვის დავალების მიცემისას, როდესაც კლიენტი ბანკს გადასცემს სავაჭრო დავალებას Bloomberg-ის ელექტრონულ პლატფორმაზე გარიგების დასადებად, ბაზრის მონაწილე ხელმძღვანელობს კონკრეტული ელექტრონული პლატფორმისთვის დადგენილი წესებითა და პროცედურებით.

ბაზრის მონაწილის მიერ დავალებები აღსრულდება სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპით, ასეთ მომენტში ბაზარზე მოქმედი წესებისა და პირობების, ასევე, ამ დოკუმენტითა და კლიენტთან გაფორმებული შეთანხმებებით დადგენილი პირობებიდან გამომდინარე;

ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს წინარე ჰეჯირება ისე, რომ არ ქონდეს გამიზნული კლიენტისთვის ზიანის მიყენება ან/და ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება (ხელოვნური მერყეობის შექმნა).

კლიენტთან კომუნიკაციისას ბანკი ვალდებულია მას მიაწოდოს ინფორმაცია წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების შესახებ, აგრეთვე იმ მატერიალური სარგებლის შესახებ, რომელიც შესაძლებელია კლიენტმა ამ ქმედებით მიიღოს. წინარე ჰეჯირებამ შეიძლება

გავლენა მოახდინოს იმ ფასზე, რომელიც ბაზრის მონაწილეს შეუძლია რომ შესთავაზოს კლიენტს ტრანზაქციისთვის დავალების შესასრულებლად არსებული ლიკვიდობის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება ბაზრის მონაწილეს ან დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ან ზარალი.

მიღებული განაცხადები სრულდება შეძლებისდაგვარად მითითებულ პარამეტრებში, სამართლიანად და გონივრულად, ბაზარზე მოქმედი გარემოებებიდან გამომდინარე. ან სხვაგვარად, ბანკის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სავალუტო დავალების მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებაზე. ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, ეცნობებათ კლიენტებს.

თუ რამდენიმე იდენტური დავალებაა განთავსებული იმავე პროდუქტზე ან იმავე სავალუტო წყვილზე, მაშინ კლიენტის პრიორიტეტიზირება ხდება შეკვეთის განთავსების დროიდან გამომდინარე (first come first served- პრინციპით).

მუხლი 5. ფასდადების პოლიტიკა

ბაზრის მონაწილე ადასტურებს, რომ ფასდადება არის სამართლიანი და გონივრული, შეესაბამება გასაწევი მომსახურების ეკონომიკურ ხარჯებსა და სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ აღებულ რისკებს.

ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია:

1. ფასდადებისას გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, რომელიც მათ შორის, მოიცავს: გარიგების ზომას ან/და სირთულეს, ლიკვიდობას, საკრედიტო ხარჯებს, ბალანსის უწყისს და კაპიტალს, რისკის ლიმიტს, ვაჭრობის საპროცესო ხარჯებს, გაყიდვების მცდელობებს. შესაბამისად, ბაზრის მონაწილემ შეიძლება შესთავაზოს კლიენტს განსხვავებული ფასები იმავე ან მსგავსი FX სპოტ და FX ფორვარდული გარიგებების დროს.
2. ვაჭრობის მოცულობის საფუძველზე მიანიჭოს კლიენტებს კონკრეტული კატეგორია და დააწესოს მარჟის ლიმიტი FX Spot– ის და FX Forward– ული გარიგებების დროს ინდივიდუალურად, მინიჭებული კატეგორიების გათვალისწინებით.

კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბაზრის მონაწილის მიერ წინასწარ შეთავაზებული ტარიფებითა და კლიენტთან დადებული ორმხრივი შეთანხმების მიხედვით.

ბაზრის მონაწილე ვალდებულია, არ დაუწესოს კლიენტს სამართლიანზე მეტი საკომისიო ან მომსახურების ანაზღაურება, ამასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით.
ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) მომსახურების ტარიფებში. აღნიშნულის შესახებ ბანკი კლიენტის ინფორმირებას ახდენს წინასწარ (3 სამუშაო დღით ადრე).

მუხლი 6. გარიგების აღსრულება

ბაზრის მონაწილე, კლიენტთან დავალების დადებისას, მოქმედებს სამართლიანად, გამჭვირვალედ, რაც, მათ შორის, მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას, კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით.

Bloomberg პლატფორმაზე კლიენტის დავალების მიღებისას ბაზრის მონაწილეს შეუძლია ჩამოჭრას გასაყიდი თანხა კლიენტის ანგარიშიდან და / ან გამოიყენოს მარჟების ან თანხის დაჯავშნის მეთოდი.

მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება დადებული გარიგების პირობების შესაბამისად, გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს. ფორვარდული და სვოპ გარიგებების დროს ანგარიშსწორება ხდება კონტრაქტით გათვალისწინებულ დღეს 17:00 საათამდე.

მუხლი 7. კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.
წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბაზრის მონაწილის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, ბანკის სერვის ცენტრებში წერილობითი განაცხადის დაფიქსირებით ან სატელეფონო ნომრის მეშვეობით: +995 322 240707 ან მიმართოს საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების დეპარტამენტს, cp@nbg.gov.ge ან ცხელი ხაზის +995 322-406-406 მეშვეობით.დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.